საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე: ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. №29-ში სასტუმროს კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო - გეოლოგიური კვლევების შედეგები

შპს „დაბი გრუპ ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2017 წლის აპრილში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. №29-ში სასტუმროს კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო - გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. №29-ში სასტუმროს კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო - გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ 2012 წლის ივნისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელია ინჟინერ-გეოლოგი ნ. ილაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული თიხოვანი გრუნტების გამოკვლევა. კლდოვანი ქანების გამოკვლევა ჩატარებულია აკად. გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე. ..... 13 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. მიწერილობა ..... 2 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ..... 10 გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე ..... 2 გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც.
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები..... 3 ფურც.
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ..... 6 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 32- სართულიანი სასტუმრო კომპლექსი სარდაფის ორი სართულით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინა-ბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 8 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 297,0 მეტრს. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 - ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 - თიხნარი ძნელადპლასტიკურ 5-10%-მდე ღორღისა და ხვინჭის შენარევით;
3. ფენა 3 - კენჭნარი, ქვიშის 30%-მდე შემავსებლით;
4. ფენა 4 - ძირითადი ქანი, ქვიშაქვებისა და არგილითების მორიგეობით, გამოფიტული;
5. ფენა 5 - ძირითადი ქანი, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა , ნაკლებად გამოფიტული.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოთჩამოთვლილი ქანების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება. მოცემულია მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. განსაკუთრებით კარგად არის გამოკვლეული ძირითადი ქანების თვისებები. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას მომავალი შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 2,2-7,1 მ სიღრმეზე თიხოვანი გრუნტის ფენაში. დამყარებული დონე 1,8-6,6 მეტრი.

დასკვნა

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. №29-ში სასტუმროს კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ რომ, წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო -გეოლოგიურ ნაწილში.

სტუ-ს გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტმდ, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/